603 N 12087

ახალ, 1995 წელს ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს, სპორტის მუშაკებს, «ლელოს» მკითხველებს!

ლელო

31.XII.1994-5.I.1995 წ.წ.

№43 (10911) ფასი 600 რუბლი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოჭადრაკე ქალთა ოთხეული — წლის ლაურეატი

ყოველი რეფერენდუმი, გამოკითხვა, ანკეტა თავისებური სარკე გახლავთ, რომელიც ობიექტურად და სრულყოფილად წარმოაჩენს წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ხმას იმას, რისიც არა სწამს და არ სჯერა. ჟურნალისტთა ტრადიციული საახალწლო სპორტული რეფერენდუმი მიზნად ისახავს წლის საუკეთესო სპორტსმენის (ზოგჯერ — კოლექტივის) გამოვლენას და ამ გზით განსაკუთრებით გამორჩეულთა წახალისებას.

1994 წელი ყოველმხრივ მძიმე წელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის და ამან, ბუნებრივია, სპორტშიც იჩინა თავი. მრავალჯერ ნათქვამის გამეორება რომ არ გამოგვივიდეს, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ კატასტროფულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ნეგატიური გავლენა სპორტის სფეროსაც დაატყო, თუმცა იმის თქმა მაინც არ შეიძლება, რომ ყველაფერი ჩაკვდა და განადგურდა. საქართველო დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა და უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც იგი ახერხებს იყოს ყურადღების ცენტრში, თავისი გულშემატკივრები გაახაროს ნამდვილი სპორტული გმირობებით.

გასული სეზონის შედეგებსა და მათ საფუძველზე შერჩეულ წლის საუკეთესო სპორტსმენებზე საუბარი ქვემოთ გვექნება. ახლა კი ნება გვიბოძეთ მოკლე ისტორიული ექსკურსი შემოგთავაზოთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

პირველი საახალწლო რეფერენდუმი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებისა და უძლიერესთა ათეულის გამოვლენას, მოეწყო 1964 წელს. აქედან მოყოლებული სპორტული ჟურნალისტები ყოველ წლის მიწურულს ავლენენ რჩეულთ და, ამით, ფაქტობრივად, აკანონებენ ქართული სპორტის წარმატებათა ისტორიას. მკითხველს ალბათ დააინტერესებს საახალწლო

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს ჰყავს ოლიმპიური ატაშე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა ჯორჯიის შტატის ერთ-ერთი ქალაქის მერი და ცნობილი ბიზნესმენი კელვინ ჰილი საქართველოს ოლიმპიურ ატაშედ დაამტკიცა ატლანტაში. თბილისთან დამყარებული ქალაქი ატლანტა, როგორც ცნობილია, 1996 წელს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ამიერიდან უამრავ საკითხს, საორგანიზაციო კომიტეტთან, რომელიც დაკავშირებული იქნება ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა თამაშებში მონაწილეობასთან, სეოკის უფლებამოსილებით გადაჭრის ბატონი კ. ჰილი. იგი ამავე დროს ატლანტა — საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი გახლავთ.

უკეთეს კანდიდატურას, როგორც ამ პიროვნებასთან დაახლოებული ქართველები აძებობენ, ვერც კი ვიხატრებდით.

ნელინწადი მიიწურა, ასახელებენ საუკეთესოთა რიგებს

აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა საუდის არაბეთის წარმომადგენელი **საიდ** ოვაირანი. 27 წლის ფორვარდმა სპეციალისტებს დაამახსოვრა თავი მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე ბელგიელთა კარში გატანილი ულამაზესი გოლით.

დამატებით გაცნობებთ, რომ ცნობილი ბულგარელი ფორვარდი ხრისტო სტოიჩკოვი თავის ქვეყანაში „წლის ადამიანადაა" დასახელებული. ოთხასი ჟურნალისტიდან უმრავლესობამ მზარი სწორედ ამ ფეხბურთელს დაუჭირა. მეორე ადგილი ხვდა ეროვნული ნაკრების მეორე მოთამაშეს მქარე ბორისლავ მიხაილოვს. ბულგარეთის პრეზიდენტი ჟელიუ ჟელევი, რომელიც ორჯერ უკვე იყო აღიარებული „წლის ადამიანად", ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

ჩეხეთის საუკეთესო სპორტსმენად 1994 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დასახელებულია 28 წლის შუბისმტყორცნელი იან ჟელეზნი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მან დაგროვა 1039 ქულა 1040 შესაძლებლიდან. ასე რომ, იგი, ფაქტობრივად, ერთხმად იქნა აღიარებული უძლიერესად. ჟელეზნი შარშანაც ჩეხეთის საუკეთესო სპორტსმენად დასახელეს. წლეულს მან მხოლოდ სამი შეჯიბრება წააგო. რეფერენდუმში ჟურნალისტების გარდა მონაწილეობდნენ მწვრთნელები და სპეციალისტები.

გამოკითხვაში, რომელსაც უნდა გამოვლინა ლიტვის საუკეთესო ფეხბურთელი, მონაწილეობა მიიღო 111-მა ჟურნალისტმა, რომელთაგან უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა „ჰამბურგში" მოთამაშე ლეგიონერს **ვალდას ივანუსკასს**. სხვათა შორის, იგი (ივანუსკასი ამჟამად 28 წლისაა) საუკეთესოდ იყო დასახელებული 1990, 91 და 93 წლებშიც.

ფრანგულ ჟურნალ „მუნდიალს" მკითხველთა რეფერენდუმს უნდა დაესახელებინა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. გამოკითხულია 40 ათასამდე სპორტის მოყვარული, რაც თავისთავად, სარეკორდო მაჩვენებელია. 34-მა პროცენტმა ხმა მისცა ესპანეთის „ბარსელონის" თავდამსხმელს, ბრაზილიელ რომარიოს, რამაც გაიყვანა კიდეც იგი პირველ ადგილზე. მეორე შედეგი — 12,5 პროცენტი აღმოაჩნდა ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს, მესამე — იტალიელ რობერტო ბაჯოს — 9,4 პროცენტი. გამოვლინდნენ წლის საუკეთესო მწვრთნელებიც. პირველ სამეულში მოხვდნენ: **იოჰან კროიფი** („ბარსელონა"), **ლეონ ფერნანდესი** („პარი სენ-ჟერმენი") და **კარლოს ალბერტო პერეირა** (ბრაზილიის ნაკრები).

32 წლის ბელგიელი სტაიერი **ჟენსანრუსი**, რომელმაც წლეულს ევროპის ჩემპიონის ოქროს medალი მიიგო ჰელსინკში 10 კილომეტრზე რბენაში აღიარებულია თავისი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად. წლეულს მან გაიმარჯვა, აგრეთვე, როტერდამისა და ბრიუსელის მარათონში, პირველი იყო ტოკიოს ნახევარმარათონშიც. ქალებში სპორტიო ჯილდოს ზედიზედ მესამედ დაეუფლა ცნობილი სტაიერი **ლივიე სლეგერი**.

ხორვატიის საუკეთესო სპორტსმენად, მესამედ ზედიზედ, დასახელებულია ჩოგბურთელი **გორან ივანიშევიჩი** — 151 ქულა. მეორე ადგილი ხვდა მაგიდის ჩოგბურთელს ზორან პრიმორაცას, რომელიც გამარჯვებულს 55 ქულით ჩამორჩა. ქალთა შორის საუკეთესო სპორტსმენი გახდა ახალგაზრდა ჩოგბურთელი **ივა მაიოლი** — 254 ქულა. საუკეთესო გუნდად აღიარებულია ნიჩბოსანთა დუეტი **ტიხომირ ვრანკოვიჩისა** და **იგორ ბორასკას** (მესაჭე მილან რაკოვი) შემადგენლობით, რომელმაც უკან ჩამოიტოვა სპლიტის „პაიდუკის" ფეხბურთელთა პოპულარული კოლექტივი.

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცა ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველს, ლისაბონის „სპორტინგის" მოთამაშეს **ემანუელ ამუნიკეს** — 48 ქულა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ჯორჯ ვეამ (ლიბერია, „პარი სენ-ჟერმენი") და რაშიდ იეკინიმ (ნიგერია). სულ გამოკითხვაში დასახელებული იყო 15 ფეხბურთელი.

რუსეთის საუკეთესო მძლეოსნად დასახელებულია ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო თასის მფლობელი, სპრინტერი **ირინა პრივალოვა**. საუკეთესო მწვრთნელი გახდა **პრივალოვას** აღმზრდელი **ვლადიმერ პარაშჩუკი**.

წინასაახალწლო შეხვედრა

სეოკმა და სპორტის დეპარტამენტმა 28 დეკემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მოაწყო ერთობლივი წინასაახალწლო შეხვედრა ყველა თაობის ოლიმპიელთა და სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა და სპეციალისტთა, სპორტულ ჟურნალისტთა და სპორტის ვეტერანთა ფართო წარმომადგენლებთან, რომელიც ამჯერადაც შესანიშნავად იყო ორგანიზებული.

შეკრებილთ მიესალმა სეოკის პრეზიდენტი ნ. გაფრინდაშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბაგრატიონი.

წაიკითხეს სოკის პრეზიდენტის ხ. სამარანჩისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტის ჟ. როგეს წინასაახალწლო მილოცვა. ჯ. ბაგრატიონმა გამოაქვეყნა სპორტის სპეციალისტთა ტრადიციული ანკეტური გამოკითხვის შედეგები ქვეყნის 1994 წლის საუკეთესო სპორტსმენის, ათეულისა და საუკეთესო გუნდების შესახებ. აი, საუკეთესო ფედერაცია კი პირველად გამოვლინდა, ეს გახლავთ ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი ვ. შუბლაძე). ითქვა, რომ ათეულში ვერ მოხვდა კ. კახიაშვილი, თუმცა ამას სპორტული შედეგებით იგი იმსახურებდა. წლეულს კახიაშვილმა საბერძნეთის სახელითაც იასპარეზა და ალბათ ამ და სხვა მოსაზრებით შეიკავეს თავი სპეციალისტებმა. მთავრობის მაღალი ჯილდოები გადაეცათ ოლიმპიადაში გამარჯვებულ ქალთა საჭადრაკო გუნდის წევრებს ნ. ალექსანდრიას და ნ. გაფრინდაშვილს, მათთაც, ვისაც ეს ჯილდოები შარშან დაიმსახურეს, მაგრამ მიღებული არ ჰქონდათ. ვეტერან სპორტსმენთა სახელით გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი მ. ჯაფელი, ახალგაზრდებიდან — ე. კურტანიძე. სეოკის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა სპორტის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ჟურნალისტებიდან ჯილდო და ფულადი პრემია გადაეცათ თ. ბალავაძეს (ტელევიზია) და ა. გურასაშვილს (გაზეთი „ოლიმპიელი").

შეხვედრა გაალამაზა ნორჩების კონცერტმა.

შეიქმნა თანამეგობრობის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტი

ოლიმპიური თანამეგობრობის ასოციაციის შექმნის იდეა რეალობად იქცა — ყოფილი საბჭოთა კავშირის 8 რესპუბლიკამ ატლანტაში ხელი მოაწერა დეკლარაციას ახალი ასოციაციის დაფუძნების შესახებ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიესალმება ამ ორგანიზაციის შექმნას, რუსული ენა კი სოკის ერთ-ერთ ოფიციალურ ენად აღიარეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სპორტულ წრეებში ფართოდ განიხილავდნენ ახალი არასამთავრობო საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის წესდების პროექტს, საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელობამ დეკლარაციას ხელი არ მოაწერა, იგივე პოზიცია დაიკავა მოლდოვამ და ბელარუსმა, უკრაინა კი საერთოდ არ ჩასულა ატლანტაში.

თვითმხილველთა აზრით, ყველაზე დიდი გაოცება გამოიწვია საქართველოს პოზიციამ, მით უფრო, რომ წესდების პროექტში საქართველოს მიერ შეტანილი ყველა შესწორება უყოყმანოდ მიიღეს. თუმცა, საქართველოს სპორტის მესვეურებს მიაჩნიათ, რომ საბოლოოდ უარის თქმა არ შეიძლება, ქართული სპორტი ნაჭუჭში ვერ ჩაიკეტება, სასარგებლო ურთიერთობებზე უარი კარგს არაფერს მოგვიტანს.

ოლიმპიური თანამეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს რუსეთის ოკის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი.

სპორტული პრესის რჩეულნი

სპორტული პრესის ევროპის ასოციაციამ დასახელა კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენები ცალკე ვაუებში და ცალკე ქალებში.

ვაუები

1. მიჰაელ შუმახერი (გერმანია, „ფორმულა — 1") — 29 ქულა
2. ლინფორდ კრისტი (ინგლისი, მძლეოსნობა) — 25
3. იუჰან ოლაფ კოსი (ნორვეგია, ციგურაობა) — 24
4. ტონი რომინგერი (შვეიცარია, ველოსპორტი) — 17
5. მიგელ ინდურაინი (ესპანეთი, ველოსპორტი) — 16

ქალები

1. მანუელა დი ჩენტა (იტალია, თხილამურები) — 23
2. არანტა სანჩესი (ესპანეთი, ჩოგბურთი) — 21
3. ირინა პრივალოვა (რუსეთი, მძლეოსნობა) — 21
4. ფრენი შნაიდერი (შვეიცარია, თხილამურები) — 17

ლელა მესხი ოცდამეთოთხმეტეა

ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა 1994 წლის სპორტული სეზონის საბოლოო შედეგები.

ვაუები: 1. პიტ სამპრასი, 2. ანდრე აგასი (ორივე — აშშ), 3. ბორის ბეკერი (გერმანია), 4. სერხი ბრუგერა (ესპანეთი), 5. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია), 6. მაიკლ ჩანგი (აშშ), 7. სტეფან ედბერგი (შვეცია), 8. ალბერტო ბარასატეგუი (ესპანეთი), 9. მიჰაელ შტიხი (გერმანია), 10. ტოდ მარტინი (აშშ).

ქალები: 1, შტეფი გრაფი (გერმანია), 2. არანტა სანჩესი, 3. კონჩიტა მარტინესი (ორივე — ესპანეთი), 4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი), 5. მარი პიერსი (საფრანგეთი), 6. ლინდსი დევენპორტი (აშშ), 7. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 8. მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 9. კომიკო დატე (იაპონია), 10. ნატალია ზვერევა (ბელარუსი).

ჩვენი თანამემამულე ლელა მესხი უძლიერესთა რეიტინგში 34-ე ადგილზეა.

საქართველოს ხსენებაც არ უნდათ...

ჩვენი მოკრივეები გვასალია და ფალიანი, როგორც ცნობილია, რუსეთში გადავიდნენ და ამ ქვეყნის სახელით ასპარეზობენ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები მოსკოვში შეხვდნენ ქართველ სპორტსმენებს, მათ „მენეჯერებს" (ისინი ახლო ნათესავები არიან) და რუსეთის სპორტის თავკაცებს.

სამწუხაროდ, გაირკვა, რომ თურმე საქართველოში აღზრდილ და დაოსტატებულ სპორტსმენებს დედასამშობლოს ხსენებაც არ სურთ. ამდენად უპასუხოდ დარჩა შემოთავაზებული წინადადება, — წამოეყენებინა პირობები, რა სურთ და რას ითხოვენ, რათა განაგრძონ მზადება მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის და იასპარეზონ საქართველოს სახელით.

სხვათა შორის, რუსეთის ოფიციალური სპორტული წრეები თანახმანი არიან დავიბრუნოთ ჩვენი სპორტსმენები თუ, ცხადია, ეს თავად მოკრივეთა სურვილიც იქნება. ამის სურვილი კი ბიჭებს არა აქვთ. ეტყობა, რუსეთის სპორტის მესვეურებმა, იციან რას ამბობენ.

მოჭადრაკე ქალთა ოთხეული — წლის ლაურეატი

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე)

ლწლო რეფერენდუმებში გამოვლენილ საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა გვარების გახსენება:

1964	სლავა მეტრეველი	ფეხბურთი
1965	ომარ ფხაკაძე	ველოსპორტი
1966	ალექსანდრე მეტრეველი	ჩოგბურთი
1967	ზურაბ ხაკანდელიძე	კალათბურთი
1968	ვიქტორ სანეევი	მძლეოსნობა
1969	ნანა ალექსანდრია	ჭადრაკი
1970	თინა ტეკვეშვილი	ცურვა
1971	ლევან თედიაშვილი	თავ. ჭიდაობა
1972	ვიქტორ სანეევი	მძლეოსნობა
1973	ლევან თედიაშვილი	თავ. ჭიდაობა
1974	ლევან თედიაშვილი	თავ. ჭიდაობა
1975	ნონა გაფრინდაშვილი	ჭადრაკი
1976	ვიქტორ სანეევი	მძლეოსნობა
1977	დავით კვაჭაძე	კრივი
1978	მაია ჩიბურდანიძე	ჭადრაკი
1979	თემურ ხუბულური	ძიუდო
1980	ქეთევან ლოსაბერიძე	მშვილდოსნობა
1981	რამაზ შენგელია	ფეხბურთი
1982	მოჭადრაკე ქალთა ოთხეული	
1983	თემურ აფხაზავა	ბერძ-რომ. ჭიდაობა
1984	მაია ჩიბურდანიძე	ჭადრაკი
1985	დავით გობეჯიშვილი	თავ.ჭიდაობა
1986	მაია ჩიბურდანიძე	ჭადრაკი
1987	ლერი ხაბელოვი	თავ. ჭიდაობა
1988	ნინო სალუქვაძე	სროლა
1989	ნინო სალუქვაძე	სროლა
1990	დავით გობეჯიშვილი	თავ.ჭიდაობა
1992	კახი კახიაშვილი	ძალოსნობა
1993	კახი კახიაშვილი	ძალოსნობა
1994	**მოჭადრაკე ქალთა ოთხეული**	

შეიშვნა: 1991 წელს დეკემბერ-იანვარის ცნობილი მოვლენების გამო რეფერენდუმი უძლიერეს სპორტსმენთა გამოსავლენად არ ჩატარებულა.

როგორც ხედავთ, წლეულს განმეორდა 1982 წლის სიტუაცია და გამარჯვება გუნდს მიეკუთვნა, თანაც ამჯერადაც მოჭადრაკეებს, თუმცა 1982 წლისა და წლევანდელ შედეგებს შორის ერთი არსებითი განსხვავებაა. 12 წლის წინ დასახელებულმა გუნდმაც (მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი) საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო, მაგრამ მაშინ ეს გამარჯვება საბჭოთა კავშირს ჩაეთვალა, წლევანდელ წარმატებას კი წმინდა ეროვნული ღირსება აქვს, ვინაიდან გაიმარჯვა ოლიმპიადაში დამოუკიდებლად მოსსპარეზე საქართველოს ნაკრებმა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მოჭადრაკეები ხშირად ფიგურირებენ რეფერენდუმში გამარჯვებულთა შორის და ეს მთლიანად ჩვენი სახელოვანი ქალების დამსახურებაა. საქართველოს ნაკრების წლევანდელი წარმატების გათვალისწინებით მოჭადრაკეებს ჟურნალისტთა რეფერენდუმში ყველაზე მეტი პირველი ადგილი აქვთ მოპოვებული - შვიდი. სარეთოდ კი სია გამოიყურება ასე:

ჭადრაკი	— 7
თავისუფალი ჭიდაობა	— 6
მძლეოსნობა	— 3
ფეხბურთი	— 2
ტყვიის სროლა	— 2
ძალოსნობა	— 2
ველოსპორტი	— 1
ჩოგბურთი	— 1
კალათბურთი	— 1
ცურვა	— 1
კრივი	— 1
ძიუდო	— 1
მშვილდოსნობა	— 1
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა	— 1

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა სიაში პირველ ნომრად ყველაზე ბევრჯერ (სამჯერ) დასახელებული არიან ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი და მაია ჩიბურდანიძე. ორ-ორჯერ იყვნენ წლის ლაურეატები დავით გობეჯიშვილი, ნინო სალუქვაძე, კახი კახიაშვილი და მოჭადრაკე ქალთა ოთხეული. დანარჩენი 13 სპორტსმენი პირველ ნომრად თითოჯერ იყო დასახელებული.

ახლა, რაც შეეხება ფლევანდელ რეფერენდუმსა და მის შედეგებს:

1. მოჭადრაკე ქალთა ოთხეული (მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, ნინო გურიელი) — 316 ქულა
2. მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი) — 284
3. გიორგი ქინქლაძე (ფეხბურთი) — 248
4. ბაკურ გოგიტიძე (ბერძ.-რომ.ჭიდ.) — 238
5. გელა პაპაშვილი (ბერძ.-რომ.ჭიდ.) — 217
6. ზაურ ცხადაძე (მკლავჭიდი) — 185
7. გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) — 150
8. კახი ცხადაძე (ფეხბურთი) — 95
9. ჯონდო მუზაშვილი (სამბო) — 70
10. მუხრან გოგია (ძალოსნობა) — 59

1994 წლის სპორტული სეზონის შედეგები შეჯამდა 39 სპორტული ჟურნალისტის (პრესა, რადიო, ტელევიზია) მონაცემების საფუძველზე. სულ დასახელებულია 40 სპორტსმენი და ერთი გუნდი (პირველი ადგილი სწორედ ამ გუნდს მიეკუთვნა), რომლებიც სპორტის 17 სახეობას წარმოადგენენ. სიებში ყველაზე ბევრი კანდიდატი ჰყავდათ ფეხბურთელებსა (შვიდი) და მოჭადრაკეებს (ხუთი).

მსოფლიოდ ტექნიკური შედეგები

სტატისტიკის მოყვარულთ ვთავაზობთ ჭადრაკში მსოფლიოს ოლიმპიადის გუნდურ შედეგებს. ქალები. 1. საქართველო — 32 ქულა, 2. უნგრეთი — 31, 3. ჩინეთი — 27, 4. რუმინეთი — 27,5, 5. უკრაინა — 25, 6. ინგლისი — 24,5, 7. ესტონეთი — 24,5, 8. გერმანია — 24,5.

ვაჟები. 1. რუსეთი — 37,5, 2. ბოსნია-ჰერცოგოვინა — 35, 3. ინგლისი — 34,5, 4. რუსეთი — 34,5, 5. ბულგარეთი — 34, 6. ნიდერლანდები — 34, 7. აშშ — 34, 8. ბელარუსი — 33,5, 9. ჩინეთი — 33,5, 10. საქართველო — 33,5, 11. უნგრეთი — 33,5, 12. უკრაინა — 33,5.

... რა ხდება ... ქვეყანაში

ჟურნალისტები გაამტყუნეს

ინგლისელი ჟურნალისტების ვივ სიმპსონისა და ენდრიუ ჯენინგსის გახმაურებული წიგნი სოკში გამეფებული კორუფციის შესახებ მრავალ ენაზე ითარგმნა, როგორც ბესტსელერი. ამ ცოტა ხნის წინ ლოზანაში შედგა სასამართლო, რომელზეც მოპასუხეებად ჟურნალისტები უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ისინი შვეიცარიაში არც კი ჩასულან. პროცესს, როგორც სოკის პრეზიდენტის წარმომადგენელი, ესწრებოდა ამ ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ფრანკ კარარი. სასამართლომ ჟურნალისტები გაამტყუნა ცილისწამებაში და თითოეულს მიუსაჯა... ხუთდღიანი პატიმრობა (აგრეთვე, სამი წელი პირობით).

ნბა-ს ამბები

ნბას რეგულარულ ტურნირს დივიზიონების მიხედვით ლიდერობენ: ატლანტის დივიზიონში — „ორლანდო" (19 თამაში, 15 მოგება, 4 წაგება, 78,9 პროცენტი), ცენტრალურ დივიზიონში — „ინდიანა" (17 თამაში, 12 მოგება, 5 წაგება, 70,6 პროცენტი), მიდუესტის დივიზიონში — „ჰიუსტონი" (18 თამაში, 12 მოგება, 6 წაგება, 66,7 პროცენტი), პასიფიკის დივიზიონში — „ფინიქსი" (19 თამაში, 14 მოგება, 5 წაგება, 73,7 პროცენტი).

კამპომანესი და კასპაროვი შერიგდნენ?

საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში მოსკოვში, „პულმანის" სასტუმროში გამართულ ფიდეს გენერალურ ასამბლეაზე დიდოსტატმა გარი კასპაროვმა მოითხოვა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესისთვის უფლებამოსილებათა ვადის ორი წლით გაგრძელება, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონი და პრეზიდენტი შერიგდნენ.

დაჯილდოება

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი „ფორმულა -1"-ში, გამოჩენილი ფრანგი ავტომობილისტი ალან პროსტი დაჯილდოვდა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით. ეს გახლავთ უმაღლესი ჯილდო, რომელიც კი შეიძლება გადაეცეს უცხოელს. დაჯილდოების ცერემონიალი ჩაატარა პარიზში ბრიტანეთის სრულუფლებიანმა ელჩმა კრისტოფერ მალაბიმ.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

რუსეთი — მსოფლიოს ნაკრები 9:1

მოსკოვში, „დრუჟბას" უნივერსალურ დარბაზში გაიმართა რუსეთისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდების საინტერესო ამხანაგური მატჩი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. შეხვედრის დებულების თანახმად გამარჯვებული მოჭიდავე იღებდა 5 ათას დოლარს. დამარცხებული — 2 ათასს. ორთაბრძოლა გამანადგურებელი ანგარიშით — 9:1 მოიგო რუსეთის ნაკრებმა.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.

48. კგ. ზაფარ გულიევი — ვილბერ სანჩესი (კუბა) 1:0,
52. ალექსანდრე მარაევი — ალფრედ ტერ-მკრტჩიანი (გერმანია) 0:1
57. ალექსანდრე იგნატენკო — ან ხან ბონი (კორეა) 1:0
62. სერგეი მარტინოვი — რიფატ ილდიზი (თურქეთი) 1:0
68. ისლამ დუგუჩიევი — რიშარდ ვოლნი (პოლონეთი) 1:0
74. მნაცაკან ისკანდერიანი — იოზეფ ბ-ნი (პოლონეთი) 1:0
82. სერგეი ნასევიჩი — თომას ზანდერი (გერმანია) 1:0
90. გოგი კოლუაშვილი — მაიკ ბულმანი (გერმანია) 1:0
100. იბრაჰიმ შავხალოვი — ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი) 1:0
130. ალექსანდრე კარელინი — ნესტორ მილიანი (კუბა) 1:0.

სწორება ესპანეთზე ფიბას რეიტინგი

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) გამოაქვეყნა ევროპის ქვეყნების გუნდების ოფიციალური რეიტინგი (1994-1995 წლების). ნიშანდობლივია, რომ საკალათბურთო ტრადიციების მქონე საქართველო ამ სიაში, ჯერჯერობით, ოცდამეხუთე ადგილზეა, რაც შარშანდელ შედეგზე უკეთესია (31-ე ადგილი), მაგრამ ჩვენს პოტენციალს არ განსაზღვრავს.

გთავაზობთ ევროპის 37 ქვეყნის რეიტინგულ მაჩვენებლებს:

1. ესპანეთი — **130** ქულა
2. იტალია — **105**
3. საბერძნეთი — **98, 875**
4. ისრაელი — **71**
5. საფრანგეთი — **59**
6. თურქეთი — **53**
7. ხორვატია — **55**
8. რუსეთი — **44**
9. გერმანია — **34, 167**
10. უკრაინა — **27**
11. პორტუგალია — **25, 833**; **12.** ბელგია — **24**; **13.** სლოვენია — **20, 667**; **14.** პოლონეთი — **18, 333**; **15.** უნგრეთი — **14**; **16.** ლიტვა — **13. 17.** ჩეხია — **11**; **18.** ლატვია — **9**; **19.** შვეიცარია — **8, 500**; **20.** სლოვაკია — **8, 333**; **21.** შვეიცია — **6**; **22.** მაკედონია — **5, 833**; **23.** რუმინეთი — **4,667**; **24.** ავსტრია — **4 . 667**; **25.** საქართველო — **3,333**; **26.** კვიპროსი — **3**; **27.** ჰოლანდია — **2,500**; **28.** ინგლისი — **2**; **29.** ლუქსემბურგი — **2**; **30.** ბოსნია — **2**; **31.** ალბანეთი — **2.** ფინეთი — **2**; **33.** ესტონეთი — **1,667**; **34.** ბულგარეთი — **1**; **35.** მოლდოვა — **0,167**; **36.** დანია — **0,167**; **37.** ისლანდია — **0,167.**

ერთი შენიშვნა: რეიტინგული მაჩვენებლების შედგენისას ფიბა ანგარიშობენ ბრავალ პარამეტრს, მათ შორის, საერთაშორისო ტურნირების შედეგებს და მათში მონაწილე გუნდების რაოდენობას. ამ მონაცემებით ოფიციალური საბჭოთა კავშირის ბუსპუბლიკებს მაინც-დამაინც სახარბიელო ადგილები არ უკავიათ, მაგრამ, როგორც ოფიციალურ განმარტებაშია ნათქვამი, ეს ქვეყნები თვიდან თვემდე აუმჯობესებენ შედეგებს და ამიტომაც, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში სერიოზულად დაწინაურდნენ. დღეისთვის კი მდგომარეობა ასეთია:

8. რუსეთი — **44** ქულა
10. უკრაინა — **27**
16. ლიტვა — **13**
18. ლატვია — **9**
25. საქართველო — **3,333**
33. ესტონეთი — **1,667**
35. მოლდოვა — **0,167**

„არასოდეს მეშინოდა სამპრასისა და არც ახლა მეშინია..."

ვინ იქნება, ბოლოს და ბოლოს, პიტ სამპრასის სერიოზული მეტოქე? აი, რას ფიქრობს ამის შესახებ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი მაიკლ ჩანგი.

მას ხუმრობით ჰკითხეს...

● **მაიკლ, იმისთვის, რომ ასე თუ ისე, შეესაძლებელი გახდეს სამპრასთან თამაში, ხომ არ ვაიძულოთ იგი მხოლოდ მარცხენა ხელით ითამაშოს?**

— მხოლოდ მარცხენითაც რომ ითამაშოს, არც მაშინ დაგვიტოვებს რაიმე შანსს. ახლა, ჩემი აზრით, პიტმა მიაღწია თავისი ტალანტის გაფურჩქვნას, თუკი მთლად მწვერვალებს არა, პრაქტიკულად იგი უზადო ჩოგბურთს თამაშობს. ეს კარგიცაა, რომ პიტი ყველა დანარჩენ ოსტატზე მთელი თავით მაღლა დგას. ჯერ ერთი, როცა ვცდილობთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს ვძლიოთ მას, ჩვენ თვითონ მეტს ვმუშაობთ ჩვენი თამაშის გასაუმჯობესებლად, ვიზრდებით როგორც ჩოგბურთელები. მეორეც, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ პიტს, ვაკვირდებით მის თამაშს, ხშირად ვბაძავთ... ასე რომ, საჭირო არ არის, ვაიძულოთ ითამაშოს მხოლოდ მარცხენა ხელით, მარჯვენითაც ითამაშოს.

● **როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს შეძლებს ამ დონეზე თამაშს?**

— ჩვენს დროში, როგორც მგონია, შეუძლებელია იმდენ ხანს შეინარჩუნო უძლიერესის პოზიცია, როგორც ამას ბორგი, ლენდლი, კონორსი, მაკინროუ ახერხებდნენ. სამი წელი — ეს მაქსიმუმია, თანაც ისეთი, რომელიც ერთეულებს თუ ხელეწიფებათ, განსაკუთრებით, გამოჩენილ მოთამაშეებს, რომელთა რიცხვს, რა თქმა უნდა, სამპრასიც მიეკუთვნება. ახლა ძალზე ბევრ ტურნირში გვიხდება მონაწილეობა, ძალზე ბევრია ძლიერი მეტოქე. მათ მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება ესიზმრებათ. ასეთი დაძაბულობის გაძლება დიდხანს შეუძლებელია.

● **ოდესლაც იოლად ამარცხებდით სამპრასს. როგორ ახერხებდით ამას?**

— ადრე მას იმის ხარჯზე ვჯობნიდი, რომ მასზე უფრო მტკიცე ფსიქიკა მქონდა. პიტის თამაშში ზოგიერთ სუსტ, მტკივნეულ „წერტილს" მოვნახავდი ხოლმე, ვიყენებდი კიდეც, რადგან ჩემს დაწოლას ვერ უძლებდა. მაგრამ ახლა ასეთი „წერტილი" მას უკვე აღარა აქვს. ადრე მის მოწოდებას ვიგერიებდი, ახლა ეს ჩემთვის შეუძლებელი გახდა.

● **შეიძლება სქმე ის იყოს, რომ სამპრასმა შეძლო მორალურად დაეთრგუნა ყველა, თავზარი დასცა მათ, შეაშინა. მის წინააღმდეგ სათამაშოდ რომ გამოდიან, მეტოქეები გამარჯვებაზე არც ფიქრობენ და მხოლოდ იმას ისახავენ მიზნად — სამარცხვინოდ არ წაგონ.**

— არა, არასოდეს მეშინოდა სამპრასისა და არც ახლა მეშინია. ალბათ იმის გამო, რომ ძალიან დიდი ხანია, რაც ვრცნობ, იმ დროიდან, როცა ჩვენ შვიდ-შვიდი წლისანი ვიყავით. ამიტომ ჩვენს შორის არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე ფსიქოლოგიური ჯვბირი. თუკი შენ ვინმესი გეშინია, ჯობს საერთოდ არ გამოხვიდე კორტზე, წინასწარ უკვე დამარცხებული ხარ.

● **შეგიძლიათ სამპრასის თამაშის მოკლედ დახასიათება?**

— მე მას პლასტიკურს ვუწოდებდი. სამპრასს შეუძლია ყველა მეტოქეს შესაფერისად შეეგუოს, შემტევითი სტილის ჩოგბურთელებს მათივე იარაღით ებრძვის, დაცვითი სტილის მოთამაშეებს — უკანა ხაზიდან. სხვათა შორის, უკანა ხაზზე თამაშისას პიტმა ბევრი რამ ჩემგან აითვისა.

● **რას წარმოადგენს სამპრასი, როგორც ადამიანი?**

— იგი უაღრესად სასიამოვნო პიროვნებაა, როცა ჩვეულებრივ სიტუაციაში, ცხოვრებაში ხედავთ, არასოდეს იფიქრებთ, რომ თქვენს წინაშე მსოფლიოში უძლიერესი ჩოგბურთელია. სამპრასი არ ჰგავს იმ პროფესიონალ ჩოგბურთელს, რომლის სტერეოტიპიც შეიქმნა როგორც მკაცრი, გულჩახვეული ადამიანისა, სისტემატიურად რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისკენ მისწრაფვის. იგი გულღია და მომხიბლავია, იმას ამბობს, რაზეც იმ წუთში ფიქრობს. იგი ჩვენთან შედარებით გაცილებით უფრო დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა, მოგზაურობისას ჩვენ თან დაგვყვებიან მშობლები, პიტი კი თავიდანვე მარტო მოგზაურობდა, პრობლემებსაც საკუთრივ წყვეტდა. ყველაფერი ეს კი სამპრასს კორტზეც შველის.

მოამზადა ბივი თორელმა

„ისე მაღლაა აწეული თამასა"...

ერთსაათიან ველორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონობა შოტლანდიელმა გრეგ ობრიმ განაცხადა, რომ ბორდოს განთქმულ ტრეკზე (აქ აღნიშნული რეკორდი ხუთჯერ გაუმჯობესდა) მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეეცდება ტოში რომინგერის მსოფლიო რეკორდის მოხსნას (საათში 55 კმ და 2912 მ). ისე „მაღლაა აწეული თამასა", — თქვა მან, — რომ რეკორდის გაუმჯობესებას სპეციალური მზადება სჭირდება. ობრიმ მტკიცედ გადაწყვიტა თავი დაანებოს ტრეკს და მთლიანად საგზატკეცილო ველორბოლაზე გადაინაცვლოს, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა მრავალდღიან რბოლაში.

ბორდოში, იმავე პრესკონფერენციაზე, შოტლანდიელმა ველოსიპედისტმა განაცხადა, რომ უსათუოდ უჩივლებს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს (უსი), რომელმაც მას ყოველად უაზროდ მიუსაჯა დისკვალიფიკაცია პალერმოს მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში. მაშინ ობრის დაუწუნეს ველოუნაგირზე ჯდომის მანერა. ვექილებმა ურჩიეს სპორტსმენს საქმე სასამართლოში შეიტანოს და მიყენებული ზარალისათვის ფულადი კომპენსაცია მოითხოვოს.

შესარჩევი ტურნირების შემდეგ

გაისად, 21 ივნისს, ათენში დაიწყება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის მორიგი ჩემპიონატი. ამ ცოტა ხნის წინ კი დამთავრდა ჯგუფური შესარჩევი ტურნირები, რომელთაგან 2-2 უძლიერესი ფინალურ ტურნირში ისსპარეზებს.

I ჯგუფში. ხორვატია — 11 ქულა, შვეიცია — 10, სლოვაკია — 8, ბელგია — 8.

II ჯგუფში. სლოვენია — 11, ლიტვა — 11, ესტონეთი — 8, ლატვია — 6.

III ჯგუფში. რუსეთი — 11, ფინეთი — 10, ბოსნია — 9, უკრაინა — 5.

IV ჯგუფში. ესპანეთი — 11, ისრაელი — 11, თურქეთი — 7, ჩეხია — 7.

V ჯგუფში. საფრანგეთი — 11, იტალია — 10, ბულგარეთი — 9, უნგრეთი — 8.

ჯგუფებში გამარჯვებულ ათ საუკეთესო გუნდს დაემატება ჩემპიონატის მასპინძელი — საბერძნეთი და ევროპის ჩემპიონი — გერმანია.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ფიფას რეიტინგი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) ბრაზილიის ნაკრები წლის საუკეთესო გუნდად გამოაცხადა, ყველაზე პერსპექტიული გუნდისათვის განკუთვნილი პრიზი კი ხორვატიას ერგო, რომელიც შარშან 122-ე იყო, ამჟამად კი მე-60 ადგილზე გადაინაცვლა.ბრაზილიისა და ხორვატიის ფეხბურთელები პრიზებს მიიღებენ 1995 წლის 30 იანვარს ლისაბონში.

გთავაზობთ ფიფას რეიტინგით საუკეთესო ოცეულს:

1.	ბრაზილია	— 67,18
2.	ესპანეთი	— 61,80
3.	შვეიცია	— 61,41
4.	იტალია	— 61,35
5.	გერმანია	— 61,25
6.	ჰოლანდია	— 59,91
7.	შვეიცარია	— 58,30
8.	ნორვეგია	— 58,11
9.	ირლანდია	— 57,63
10.	არგენტინა	— 56,67
11.	რუმინეთი	— 56,61
12.	ნიგერია	— 54,39
13.	რუსეთი	— 54,35
14.	დანია	— 54,26
15.	მექსიკა	— 53,68
16.	ბულგარეთი	— 53,53
17.	კოლუმბია	— 52,74
18.	ინგლისი	— 52,48
19.	საფრანგეთი	— 52,30
20.	პორტუგალია	— 50,87

3-ქულიანი სისტემა?

როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს თავის სისტემაში შემავალ ქვეყნებს რეკომენდაცია.მისცეს 1995 წლიდან ეროვნული ჩემპიონატები წარმართონ ახალი, 3-ქულიანი სისტემით, ნაცვლად ძველი 2-ქულიანისა, ე.ი. ეროვნული ჩემპიონატის მატჩის მოგებისთვის გუნდს დაერიცხება 3 ქულა, ფრე შეფასდება 1 ქულად, წაგება — 0.

● რუსეთის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელად, იქაური უმაღლესი ლიგის მოთამაშეთა გამოკითხვის შედეგად მიიჩნიეს მოსკოვის „დინამოს“ თავდამსხმელი იგორ სიმუტენკოვი, რომელმაც 242 ხმა მიიღო. მეორე ადგილზეა მოსკოვის სპარტაკელი ვიქტორ ონოპკო (125), ხოლო მესამეზე, აგრეთვე, მოსკოვის სპარტაკელი ანდრეი პატნიცკი (110).

● ბრაზილიის ნაკრების ცნობილი მეკარე, მსოფლიო ჩემპიონი კლაუდიო ტაფარელი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დააჯარიმა 20 ათასი შვეიცარიული ფრანკით და აუკრძალა მონაწილეობა 2 საერთაშორისო მატჩში. სასჯელის მიზეზია სარეკლამო კონტრაქტის დარღვევა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ, ბრაზილიელთა ოქროს მედლებით დაჯილდოების ცერემონიალისას ტაფარელიმ გამოიცვალა ხელთათმანები. ახალ ხელთათმანებზე კი ის სარეკლამო წარწერები იყო გაკეთებული, რომლებიც ფიფას მიერ ნებადართული არაა.

● ინგლისის ჟურნალ „უორლდ სოკერის“ გამოკითხვის შედეგად 1994 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ მცველი პაოლო მალდინი. მეორეა ამ ქვეყნის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ნახევარმცველი რობერტო ბაჯო, ხოლო „ბარსელონის“ თავდამსხმელი ბრაზილიელი რომარიო — მესამე.

● გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრების შემდეგ ლიდერია დორტმუნდის „ბორუსია“ (24 ქულა), მას თითო ქულით ჩამორჩებიან „ვერდერი“ და მიონშენგლადბახის „ბორუსია“. ბოლო ადგილებზე არიან „ბოხუმი“ (8) და „დუისბურგი“ (7).

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ოფიციალური ბოდიში მოუხადა მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს იმის გამო, რომ ფიფას პრესის შეფმა გეიდო ტონიონიმ კადნიერად მიმართა მას და საქვეყნოდ ურჩია ფეხბურთის ნაცვლად ხელი მოჰკიდოს გოლფს, ცხენების მოშენებას, ან იახტით გარს შემოუაროს მსოფლიოს, თუნდაც, მთვარეზე გაემგზავროს.

ჟ. აველანჟმა თავისი თანამშრომლის საქციელს არაეთიკური და საერთაშორისო ფედერაციისთვის შეუფერებელი უწოდა (საქმე ეხებოდა გერმანიის ჩემპიონატის მატჩში „ბაიერნის“ 18 წლის ფეხბურთელის კუფოკრის მინდვრიდან გაძევებას).

● 1995 წლის 11-16 მარტს ნიგერიაში განზრახულია იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა, ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საინსპექციო შემოწმება მოაწყო უოკ ვარნერის მეთაურობით. გამოირკვა, რომ ინსპექტორებს სერიოზული პრეტენზიები აქვთ, კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ სათამაშო მინდვრები არც ლაგოსში და არც სხვა ქალაქებში არ აკმაყოფილებენ ესოდენ დიდი მასშტაბების შეჯიბრების ელემენტარულ პირობებს.

● აღმოსავლეთ და ცენტრალური აფრიკის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტანზანიისა და უგანდის გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 2-2, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვეს ტანზანიელებმა (4-3).

● საფრანგეთის „მონაკოს“ ყოფილი მწვრთნელი არსენ ვენგერი სათავეში ჩაუდგა იაპონიის „ნაგორია გრამპუს ეიტს“. მისი კონტრაქტი ითვალისწინებს 2 წელიწადს.

● ნახევარმცველი კაზიმეუ დეინა, რომელმაც 102 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში, ჟურნალ „პ�ეკა ნოოწსა“ მკითხველთა გამოკითხვით ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს ეროვნული ფედერაციის 75 წლის ისტორიაში. მეორე ადგილზეა თავდამსხმელი გუეგოუ ლატო, მესამეზე — ნახევარმცველი ზბიგნევ ბონეკი.

● არგენტინის კლუბ „რასინგის“ ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა დიეგო მარადონას ჩაიბაროს უფროსი მწვრთნელის პოსტი. ძველი მწვრთნელი ურუგვაელი ლუის კუბილია ამას წინათ გაანთავისუფლეს ამ თანამდებობიდან. მაგრამ „რასინგის“ პრეზიდენტმა ხუან სტეფანომ, თურმე, ასეთივე წინადადებით მიმართა არგენტინის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს რობერტო პერფიუმოსაც.

● ბუენოს-აირესში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი დარბაზის ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინისა და კოლუმბიის გუნდები, მეტად დაძაბული თამაში მოიგეს არგენტინელებმა — 2-1, ჩემპიონობაც მათ ხვდათ წილად. მესამე ადგილზე გავიდნენ ურუგვაელები, მეოთხეზე — ბრაზილიელები.

საფეხბურთო კარიდან — პრეზიდენტის სავარძლამდე

სულ ახლახან მეხივით გავარდა სენსაციური ცნობა ტოკიოდან: ფეხბურთის პოპულარული საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში არგენტინის „ველეს სარსფილდმა“ საკმაოდ იოლად დაამარცხა იტალიის განთქმული „მილანი“ (2-0) და მოიპოვა ეს უაღრესად პრესტიჟული პრიზი, რომლის განკარგულებებიც ცნობილი ფორმა „ტოიოტა“ გახლავთ.

მაგრამ, სად „მილანი“ და სად „ველეს სარსფილდი“? სად, ერთის მხრივ, ბრწყინვალე მოთამაშეებით დაკომპლექტებული იტალიის სუპერკლუბი (მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, სავიჩევიჩი) და სად „ველეს სარსფილდი“, რომლის ფეხბურთელები, ალბათ, ერთთავად იმაზე ოცნებობენ „მილანთან“ კონტრაქტს მიაღწიონ და იქ ამოჰყონ თავი, სადაც საქვეყნოდ აღიარებული დიდოსტატები გამოდიან და საზღაპრო ფულსაც იღებენ. მართალია, „მილანი“ ბოლო ხანებში მძიმე კრიზისს განიცდის, ძველი ელვარებით ჯერარ თამაშობს, თავისი ქვეყნის ჩემპიონატშიც ბოლო ათეულშია (18 გუნდს შორის), ეროვნული თასის გათამაშებასაც გამოეთიშა, „ველეს სარსფილდი“ კი, თუმცა მან დიდ წარმატებებს მიაღწია, მაინც ჯერ კიდევ შორსა დგას „მილანის“ საერთაშორისო აღიარებისგან. მაგრამ ფაქტი ფაქტია. „ველეს სარსფილდმა“ თავის ქვეყანაშიც გამოიჩინა თავი, მთელს სამხრეთ ამერიკაშიც და, აჰა, ახლა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობაც მოიპოვა. ეტყობა ფეხბურთსაც თავისი დაუწერელი კანონები აქვს და მათდა შესაბამისად ცალკეულ შეჯიბრებებში უცხო ხელი არაა, როცა უკანანი წინ მოექცევიან, ხოლო წინანი უკან. შესაბამისად ამისა, „ველესიც“ წინ მოექცა, და თვით „ტოიოტას“ თასიც ჩაიგდო ხელთ.

საერთოდ, ამ მეტად დიდმნიშვნელოვან შეჯიბრებაში სამხრეთამერიკელებს გაცილებით უფრო სწყალობს ფორტუნა, ვიდრე ევროპელებს, საერთო ანგარიშია 20:13 პირველთა სასარგებლოდ.

ეს ასეა, მაგრამ ამჯერად ამის თაობაზე არა გვაქვს საუბარი. უცხოეთის პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ამ უძნელესი მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო „ველესის“ პარაგვაელი მეკარე, ამ ქვეყნის ნაკრების ძირითადი წევრი, 28 წლის ხოსე ლუის ჩილავერტი, უპირველეს ყოვლისა სწორედ მას უნდა უმადლოდეს არგენტინის კლუბი ამ დიდ წარმატებას.

გვჯერა, რომ ეს ასე იყო. რამდენადაც პარაგვაის ეროვნული ნაკრები არ მონაწილეობდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და ჩვენც არ მოგვეცა საშუალება ტელევიზიით გვეხილა პარაგვაელთა მეკარის მაღალი ოსტატობა, უნდა დავჯერდეთ იმ ცნობას, რომ ხოსე ჩილავერტი ჩინებული მეკარეა და „მილანთან“ საკონტინენტთაშორისო მატჩის გმირი სწორედ ის გახლდათ. გვჯერა და გვწამს ჩილავერტის ოსტატობისა, სასიამოვნოცაა ამ პატარა ქვეყნის ფეხბურთელთა ასეთი აღიარება, მაგრამ გაოცებს იწვევს თვით ხოსე ლუის ჩილავერტას განცხადება, რომელიც მან ქვეყნიერებას აუწყა საკონტინენტთაშორისო მატჩის დამთავრების შემდეგ: „სურვილი მაქვს პარაგვაის პრეზიდენტი გავხდე“! არც მეტი, არც ნაკლები: თასი — თასად, მაგრამ პრეზიდენტობა მე მერგებაო. აი, ასე!

სხვათა შორის, ფეხბურთელის პრეზიდენტობაზე პრეტენზიებს უკვე აქვს თავისი პრეცედენტი. ამ რამდენიმე ხნის წინ მთელს მსოფლიოს მოედო ცნობა, რომ დიდ ბრაზილიელ ფეხბურთელს პელეს, თვით შეუდარებელ პელესაც, თურმე, ეწადა თავისი ქვეყნის პრეზიდენტობა. მაგრამ მას მერე საკმარისზე მეტი დრო გავიდა და პელემ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია პრეზიდენტის სავარძელს. შესაძლოც კია ის ადრინდელი ცნობა მონაჭორი არაკი გახლდათ, ამიტომაც ამბიციური პარაგვაელი მეკარის განცხადება იუმორნარევ ღიმილს იწვევს. მთელი ცხოვრება საფეხბურთო კარში გაატარო და მერე პოლიტიკურ წარმატებებზე და თვით პრეზიდენტობაზეც იფიქრო, ცოტა არ იყოს, გასაკვირიცაა და მეტისმეტად თამამიც.

ვნახოთ, რა მოხდება: აგერ პარაგვაი, აგერ ჩილავერტი, აგერ მომავალი არჩევნები და ცნობისმოყვარე მკითხველი საკუთრივ დარწმუნდება ჩილავერტის სიტყვების რეალობაში. დრო გვიჩვენებს!

საინტერესოა კიდევ ერთი რამ: საკონტინენტთაშორისო მატჩში დამარცხების შემდეგ „მილანის“ განწყობილმა ფეხბურთელებმა (ადრე ეს კლუბი სამჯერ ფლობდა „ტოიოტას“ ამ პრიზს და კიდევ ორჯერ ითამაშა ფინალში) განაცხადეს: „დასანანია, რომ წავაგეთ გუნდთან, რომლის კლასი იტალიის მესამე დივიზიონს შეესაბამება.“

პარაგვაის პრეზიდენტობაზე მეოცნებე „ველეს სარსფილდის“ გოლკიპერმა ამ სიტყვებს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მაინტერესებს, რას აკეთებს იტალიის პირველ დივიზიონში „მილანი“? მე რომ მკითხოთ, იგი იტალიის მეოთხე დივიზიონში უნდა გამოდიოდეს“

პრეზიდენტობისა რა მოგახსენოთ, ისე კი ნამდვილად კვიმატი ენა ჰქონია ხოსე ლუის ჩილავერტს!

კრიმინალური ქრონიკა

● ქალაქ მანჰაიმში ტელევიზიის შენობიდან გამოსვლისას დააპატიმრეს „ინტერპოლის“ ძებნა ვარმცველი მაურიციო გაუდინო. ქალაქის პროკურორის განცხადებით ფეხბურთელს ბრალად ედება ნაქურდალი ავტომანქანებით ვაჭრობა. როგორც გაირკვა, გაუდინოს პოლიცია ბოლო ორი თვის მანძილზე ფარულად უთვალთვალებდა.

● მალაიზიის ფეხბურთელთა პროფესიულ ლიგაში ჩადენილი კრიმინალური დანაშაულისათვის (ქრთამის აღება სინგაპურის გუნდის გამარჯვებისათვის) 6 თვით პატიმრობა მიუსაჯეს „ფიფას არბიტრს“ ტირ რაჯამანიკამს. ამასთან, მან ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს 650 დოლარი.

● „არსენალის“ (ინგლისი) მწვრთნელი ჯორჯ გრემი ეჭვმიტანილია ქრთამის აღებაში (285 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით) დანიელი ფეხბურთელის იონ იენსენის („ბრონდბიუ“) ყიდვის დროს. ეს მოხდა 1992 წელს. სასამართლო იკვლევს, აგრეთვე, „არსენალში“ ნორვეგიელი ფეხბურთელის პალ ლიდერსენის გადასვლის დეტალებს.

● ჩინელი მწვრთნელის მა იუნჭიენის მიერ გამოგონილმა მაგიურმა ელექსირმა (მას სხვაგვარად „პირთვული მაცოცხლებელი ენერგია“ უწოდეს) სპეციალისტებში დიდი მოწონება დაიმსახურა, ფარმაცევტულმა ფირმამ „ინრიმ“ კი 1,2 მილიონ დოლარად შეიძინა პატენტი და ელექსირის ფართო წარმოება დაიწყო, მაგრამ რამდენიმე ორგანიზაციამ „ალაგიატისთვის“ უჩივლა გამომგონებელს. ახლა საქმეს გაარჩევს სასამართლო და დაადგენს მტყუან-მართალს. მანამდე კი მოხდა ელექსირის ქიმიური ანალიზი. როგორც გაირკვა, იგი შედგება სხვადასხვა ჯიშის იშვიათი სოკოს, კუს სისხლის, ნყლისა და შაქრის ექსტრატისაგან, რომელსაც დამატებული აქვს სრულიად უცხო სითხე.

● მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მონიკა სელეში, რომელსაც შარშან აპრილში პამბურგის საერთაშორისო ტურნირის დღეებში მანიკამა გიუნტერ პარხემ დანა დაარტყა, სულ მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება. საქმე ისაა, რომ სპორტსმენს უჩივის ერთ-ერთი იტალიური ფირმა იმისათვის, რომ ვერ ასრულებს კონტრაქტს და რეკლამას ვერ უკეთებს მის ნაწარმს. როგორც ფირმის წარმომადგენლები აცხადებენ, ამ ხნის მანძილზე ზარალმა 6 მილიონ დოლარს მიაღწია.

● როგორც ვიუწყებოდით, „საუთპემპტონის“ (ინგლისი) მეკარის ზიმმამშველი ბრიუს გრობელარის საქმეს სწავლობს პოლიცია. მას ბრალად ედება წაგებულ მატჩებში ფულის აღება. ფეხბურთელის ადვოკატის დევიდ პიუიტის განცხადებით ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას არ აქვნდა დისკვალიფიკაციის იურიდიული უფლება მანამ, სანამ პოლიცია იძიებს საქმეს. მე მიჭირს ჩემი კლიენტის დაცვა, — განაცხადა პიუიტმა, — ვინაიდან პოლიცია ჯერჯერობით არ აცხადებს რომელ „გაყიდულ“ მატჩზეა ლაპარაკი.

● მადრიდის „ატლეტიკის“ პრეზიდენტს პესუს პილს მაისამდე აეკრძალა კლუბთან ყოველგვარი კონტრაქტი თამაშის დროს. იგი დისკვალიფიცირებულია საქციელისათვის, რომელიც ჩაიდინა მარტში, ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის მსვლელობის დროს. არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პრეზიდენტმა მრავალრიცხოვანი მაყურებლის თვალწინ ხელი გაარტყა მსაჯს და ამით მორალური ტრავმა მიაყენა. ამ საქმეს გაარჩევს სასამართლო, თუმცა ფიქრობენ, რომ პილი მანამდე ჩაფარცხავს ინციდენტს.

● სულ მალე სასამართლოში გამოიძახებენ „ჩელსის“ (ინგლისი) ფეხბურთელთა გუნდის ნახევარმცველს დენის უაიზს. ლონდონის ერთ-ერთი ბარიდან გამოსულმა კარგა გვარიანად დაბეგვა ტაქსის მძღოლი. მოწმეთა ჩვენებით ფეხბურთელი ნასვამი იყო. საქმის მოსმენა 29 ნოემბრისთვისაა დანიშნული, მანამდე კი უაიზი თავდებშია გამოშვებული. კლუბის ადმინისტრაციამ ყოველი შემთხვევისათვის ფეხბურთელს ჩამოართვა კაპიტნობა. საინტერესოა ერთი დეტალიც. ბარი, რომლის წინაც მოხდა დანაშაული, ეკუთვნის ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ტერი ვენეიბლსს.

● არც ისე დიდი ხნის წინ, ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „სან-პაულუსა“ და „პალმეირასს“ შორის მოხდა გრანდიოზული ჩხუბი, რომელშიც მონაწილეობდა ორ ათეულამდე ფეხბურთელი და ამის გამო თამაში 15 წუთით შეწყდა. მოედნიდან გააძევეს ექვსი ფეხბურთელი. როგორც ირკვევა, ჩხუბი წამოიწყო „პალმეირასის“ ფორვარდმა ედმუნდომ, რომელიც გამოტოვებს გათამაშების მეორე ეტაპის ოთხ მატჩს და შემდეგ კიდევ არ ითამაშებს 30 დღეს. ასეთი ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის სადისციპლინო კომისიამ. ედმუნდოს ბრალად ედება ჩხუბის დაწყება (დისკვალიფიკაცია 4 მატჩით) და ჯენტლმენისათვის შეუფერებელი საქციელი (ერთი თვე დამატებით). დაისაჯნენ, აგრეთვე, „სან-პაულუს“ დირექტორი კალეფ ჟოაო ფრანსისკო (40 დღე ვერ დაჯდება სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე), „პალმეირასის“ მოთამაშეები — სამმაიო (3 თამაშით), კარლოსი (2 თამაშით) და „სან-პაულოს“ ფეხბურთელები — ჟუნინიო, მიულერი, ჟილმარი (თითოეული 2 თამაშით).

80 წელი მიულოცეს

რამდენიმე თვეში ორმოცდაათი წელი შეუსრულდება 35-ე საფეხბურთო სკოლას დაარსებიდან. ახლახან კი მისმა აღზრდილებმა დაბადებიდან 80 წლისთვი მიულოცეს სკოლის ერთ-ერთ დამაარსებელს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელსა და მწვრთნელს, შოთა მერკვილაძეს. შეხვედრაზე ისაუბრეს შ. მერკვილაძის წვლილზე ფეხბურთელთა ამ კერის ტრადიციების დამკვიდრებაში. ჩვენი ფეხბურთის ბეგრმა თვალსაჩინო ოსტატმა ხომ ამ სკოლაში აიდგა ფეხი.

იუბილარს მიულოცეს სკოლის კურსდამთავრებულებმა საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალთა სარდალმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, გეოლოგ-ინჟინერმა კოკა ამირეჯიბმა, სახალხო მეურნეობის მუშაკებმა ამირან შუბლაძემ, გივი ელოშვილმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა დოდიკ ხუნდაძემ, შალვა კაკაბაძემ, ზაურ კალოევმა, ილია დათუნაშვილმა...

რა ხდება ევროპაში

● ინგლისელ ბადროსმტყორცნელ პიტერ გორდონს მოუხსნეს შარშან გამოტანილი მძიმე განაჩენი — ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია დოპინგკონტროლის წესების უგულებელყოფისათვის. საქმე ის გახლავთ, რომ მცველისანი უკურნებელი სენით — კიბოთია დაავადებული. ეს გადაწყვეტილება, თქვა გორდონმა, საგრძნობლად გამიადვილებს ბრძოლას ავადმყოფობის წინააღმდეგ და მორალური ძალების მობილიზების საშუალებას მომცემს.

● ამერიკელ ჟურნალისტთა აზრით კეტბურთელ მაიკლ ჯორდანს, რომელიც ამჟამად „სკონტსდელ სკორპიონზის“ ღირსებას იცავს, ყველა შანსი აქვს ითამაშოს „ჩიკაგო უაიტ სოკსის“ შემადგენლობაში. მოგეხსენებათ, რომ ჩიკაგოს კლუბი — ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია ამერიკულ კეტბურთში და ჯორდანმა შარშან სწორედ მასთან მოაწერა ხელი სამწლიან კონტრაქტს. იმავე ჟურნალისტთა აზრით ჯორდანმა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მაჩვენებლები. მაგრამ „სკარპიონზის“ ხელმძღვანელობა ადვილად არ შეურიგდება ამ გადასვლას. საქმე ისაა, რომ უნიკალური სპორტსმენის სანახაობად სტადიონზე უამრავი ხალხი მიდის და კლუბის შემოსავალიც, ამის გამო, ერთი-ორად გაიზარდა.

● გერმანიის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ ხელი არ მოაწერა დოკუმენტს, რომელიც სამთომოთხილამურეთა უსაფრთხოების გარანტიებს ეხება. გერმანელთა აზრით საერთაშორისო ფედერაციას სურს მთელი პასუხისმგებლობა ეროვნულ ფედერაციებს დააკისროს. სხვათა შორის, ეს დოკუმენტი მიზეზი გახდება სასამართლო გარჩევისა, რომლის ინიციატორები არიან შარშან გარმიშ-პარტენკირხენში ტრაგიკულად დაღუპული ულრიკე მაიერის პარტნიორები — პუბერტ შვაიგპოფერი და ჰელენა მილერი.

● ფრენბურთის 100 წლისთავთან დაკავშირებით სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა საყოველთაო ამნისტია, რომელიც ძალაში შევა 1994 წლის დეკემბრიდან. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, არ ეხება მხოლოდ ეროვნულ ფედერაციათა ფინანსურ ვალს, რომლის გადახდაც, დირექტორატის აზრით, სავალდებულოა.

● იტალიის კალათბურთელთა კლუბმა „ბენეტონმა“ ხელი მოაწერა 1-წლიან კონტრაქტს 35 წლის ამერიკელ ფორვარდ ორლანდო უილრიჯთან (205 სმ.), რომელმაც ნბა-ს კლუბებში („ჩიკაგო“, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“, „დეტრიიტი“) 13 სეზონი გაატარა. კონტრაქტის საფასური საგულდაგულოდაა გასაიდუმლოებული.

● პროფესიონალ ველოსიპედისტთა ამქარი კიდევ ორი სპორტსმენით შემცირდა. აქტიურ სპორტს თავი მიანებეს ფრანგმა ძმებმა ივონ და მარკ მადუუმმა. ამ უკანასკნელს ორჯერ აქვს მოგებული პარიზ-რუბეს საკმაოდ ავტორიტეტული რბოლა.

● როგორც ამერიკელები ამბობენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის კალათბურთელთაგან საუკეთესო დებიუტი ნბა-ში აჭონდა სერგეი ბაზარევიჩს, რომელიც „ატლანტა ჰოკსმა“ აიყვანა. მას ხელს უწყობს და კარგადაც ათამაშებს გუნდის მთავარი „დირიიორი“ მუკი ბლეილოკი.

● 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მონყობის ერთ-ერთი მსურველი სლოვაკეთის საკურორტო ქალაქი პოპრადი დაათვალიერა სოკის ექსპერტთა თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა. მოხსენება ამ საინსპექციო მოგზაურობის შესახებ გაკეთდა ლოზანაში 2-3 დეკემბერს. 1995 წლის 23-24 იანვარს კი გაიმართება ქალაქთა შერჩევის პირველი ეტაპი, რომელიც ცხრა კანდიდატიდან დატოვებს მხოლოდ ოთხს. მეორე ეტაპის (ანუ „დღე-იქსის“) თარიღად გამოცხადებულია 16 ივნისი. ამ დღეს დაასახელებენ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქს. ფიქრობენ, რომ პოპრადს ამ დაკვეთა მცირე შანსი აქვს, ვინაიდან ხელისუფლებამ თამაშების მოსაწყობად მხოლოდ 400 მილიონი დოლარი გამოყო.

● ნიუ-იორკის საიუბილეო, 25-ე მარათონი აღინიშნა ორი ტრაგიკული შემთხვევით, ამიტომ მის შედეგებზე პრესა ალარ ამახვილებს ყურადღებას. გულის შეტევით გარდაიცვალა ჯერ 27 წლის ფრანგი პიერ მარკეტი, მერე კი 50 წლის ამერიკელი ბერნარდ როლინი. რბენის დროს ცუდად გახდა კიდევ ერთი მარათონელი * — *47 წლის ნიუ-იორკელი ედვარდ ბერი. მაგრამ სამედიცინო სამსახურმა მისი გადარჩენა მოახერხა, თუმცა იგი ჯერჯერობით ისევ კლინიკაშია. ეს უკვე მესამე ტრაგიკული შემთხვევაა ნიუ-იორკის მარათონის ისტორიაში. პირველი უბედურება მომხდარა 1984 წელს, როცა გარდაიცვალა 48 წლის ფრანგი მორბენალი (მის გვარს ორგანიზატორები, რაღაც მიზეზის გამო, არ ასახელებენ.)

● აფროსნობის საერთაშორისო ფედერაციამ კატეგორიულად უარყო წინადადება იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ჩემპიონატები გაიმართოს მხოლოდ ოლიმპიურ კლასებში. ამასთან დაკავშირებით- დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა კლიფ ნორპურმა განაცხადა: „აფროსნობა მრავალფეროვანი სპორტია და დანაშაული იქნებოდა მისი ხელოვნური შეზღუდვა ვისიმე კაპრიზის გამო“.

● ათენის „პანათინაიკოსის“ კალათბურთელთა კლუბმა ყოველგვარი კავშირი განყვიტა ნიკოს გალისთან. საპერძნეთის ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი და პოპულარული კალათბურთელი სამარცხვინოდ არის გაგდებული თავისი კლუბიდან. მიზეზი გახლავთ პრინციპული უთანხმოება მწვრთნელთან — კოსტას პოლიტისთან. ამ მიზეზით გალისს გუნდში არ უთამაშია ოქტომბრიდან.

რა ხდება ევროპაში

როგორ დაუბრუნდა ჯორჯ ფორმენი ჩემპიონის „ტასტს“

ანუ უდიდესი სენსაციია კრივის ისტორიაში

კრივის მიმომხილველები ამ მოვლენას კიდევ მრავალგზის დაუბრუნდებიან. გასაგებია, ეს ხომ უდიდესი სენსაციაა არა მარტო კრივის, არამედ საერთოდ სპორტის ისტორიაში. დაჯერებაც კი ძნელია — ჯორჯ ფორმენი, რომელიც სულ მალე 46 წლისა შესრულდება, გახდა მსოფლიოს ყველაზე უფრო ხანდაზმული ჩემპიონი მძიმე წონახანთა შორის. მანამდე კი რეკორდსმენად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ითვლებოდა ჯერსი ჯო უოლკოტი, რომელმაც 37 წლის ასაკში (1951 წელს) მოუგო მატჩი ეზარდ ჩარლზს. გასაგებია 37 წელი კრივში ძალზე სოლიდური ასაკია, ამ ხნის მოკრივეებს რინგზე იშვიათად ნახავთ, განსაკუთრებით კი „ზედფენებში“. დიახ, ასეა, მაგრამ მაშინ რაღა უნდა ვთქვათ 46 წელზე?!

ჯორჯ ფორმენს ორი პროფესია აქვს. პირველ რიგში, ცხადია, ეს არის პროფესიონალი მოკრივე, თუმცა ადრე არაერთხელ გამოუცხადებია, რომ ტოვებს რინგს, მეორე პროფესია კი სპორტსმენისათვის საკმაოდ უჩვეულოა, უკვე მრავალი წელია, რაც ფორმენი ანგლიკანური ეკლესიის პასტორი გახლავთ!

როცა ამ რამდენიმე წლის წინ ფორმენი კრივს დაუბრუნდა, ამას ბევრი ექსპერტი ირონიულად შეხვდა. დიახ, დიდი მოკრივე იყო წინათ, დიახ, მისი ოსტატობაც ყველამ აღიარა, დიახ... მაგრამ რა ვუყოთ დროს, ყველა სპორტსმენის, დიდისა თუ პატარის, ულმობელ მტერს, დროს და მის მსახვრელ ძალას.

იმას, რასაც დიდი კრივი ჰქვია, ჯორჯ ფორმენი 1968 წლიდან დუკავშირდა. მანამდე იგი მოყვარული მოკრივე იყო, დახლოებით 20 მოგებული ბრძოლით. როცა ამერიკაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება დაიწყეს, სხვა კანდიდატებთან ერთად მძიმე წონაში ფორმენიც დასახელეს. ზოგს მისი წარმატებების ნუსხა ფრიად უმნიშვნელოდ მოეჩვენა, ზოგმა თქვა, რომ სწორედ იგი უნდა გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი, და, თქვენ წარმოიდგინეთ, მართლებიც გამოდგნენ.

ოლიმპიური თამაშების შემდეგ ფორმენი პროფესიონალი გახდა. აქ კი უნდა აღინიშნოს მისი ახალი მფარველებისა და მწვრთნელების დიდი ამაგი. მათ, ცხადია, იცოდნენ, რომ ამ არაჩვეულებრივ ღონიერ, ამტან, უძლიერესი დარტყმის მქონე ახალგაზრდას არაერთი ნაკლიც ჰქონდა, ძირითადად ტექნიკაში. რამდენიმე წლის თავდადებული წვრთნის შემდეგ ეს ნაკლიც გამოსწორდა და ახლა უკვე ფორმენი საკმაოდ ტექნიკურ მოკრივედ ითვლებოდა. რაც შეეხება ფიზიკურ ძალას, ამ მხრივ ფორმენს საერთოდ არა ჰყავდა ღირსული მეტოქე. ის, რომ ყველა პრეტენდენტს საკმაოდ იოლად უსწორდებოდა, ფორმენის ქომაგებს აფიქრებინებდა, რომ სულ მალე შეიძლებოდა მსოფლიოს ჩემპიონობასაც მისწვდომოდა.

და აი, ეს დროც დადგა. მსოფლიო ჩემპიონ ჯო ფრეზერის უახლოესი გარემოცვის დათრგუნვის შემდეგ ჯორჯ ფორმენმა პირველად მიიღო №1 მოკრივესთან შეხვედრის უფლება. რა თქმა უნდა, ბევრი ექსპერტი ფიქრობდა კიდეც, რომ ფორმენი მოიგებდა ამ მატჩს, მაგრამ იმან, რაც სინამდვილეში მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საქმე ის არის, რომ ამ მატჩში, რომელიც 1973 წელს გაიმართა, ჯო ფრეზერმა 24 წლის ფორმენს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ანდა, რა წინააღმდეგობის გაწევაზეა ლაპარაკი, როცა სულ რაღაც 2 რაუნდის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონი ექვსჯერ (!) აღმოჩნდა იატაკზე, იმავე მეორე რაუნდში კი საქმე ნოკაუტით დამთავრდა. ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მოელოდნენ, რომ ჯორჯი დიდხანს შეინარჩუნებდა მსოფლიო ჩემპიონობას, მით უმეტეს, რომ მომდევნო მეტოქეებს ჯო რომანსა და კენ ნორტონს ფორმენმა სრულიად იოლად სძლია, ერთს პირველ რაუნდში, მეორეს კი მეორეში...

და მაინც, მწარედ მოტყუვდნენ ისინი, ვინც ფორმენს ხანგრძლივი მსოფლიო ჩემპიონობა უწინასწარმეტყველა. დიახ, იგი ახალგაზრდა იყო, დიახ, არაჩვეულებრივი ისე, წელზე მეტი გავიდა მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვის შემდეგ და ფორმენი რინგს აღარ დაბრუნებია. შემდეგ ყველაფერი თითქოს კალაპოტში ჩადგა. ექს-ჩემპიონმა განაახლა შეხვედრები, ზედიზედ იგებდა, მათ შორის ერთხელ კიდევ დაამარცხა ჯო ფრეზერი და თითქოს მოჰამედ ალისთან მატჩ-რევანშის შესაძლებლობებიც ჰქონდა.

აქვე ვიტყვით, რომ ფორმენის ოცნებებს, კვლავ შეხვედროდა მოჰამედ ალის, განხორციელება არ ეწერა. თუნდაც ერთი მარცხის გამო, რომელიც მან 1977 წელს ჯიმი იანგისაგან იგემა. ამას ის შედეგები მოჰყვა, რომ 28 წლის ასაკში ჯორჯმა, რომელიც ადრეც ფრიად რელიგიური ადამიანი იყო, გადაწყვიტა საერთოდ მიეტოვებინა კრივი და პასტორი გამხდარიყო.

ამის შემდეგ მთელი ათი წლის განძილზე ფორმენს კრივთან რაიმე კავშირი არა ჰქონია, სასულიერო პირის საქმიანობას ეწეოდა, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდათა რელიგიურ ცენტრს ჰიუსტონში. ასპარეზს ჩამოცილდა მუჰამედ ალიც, კრივში სხვა მეფეები მეფობდნენ...

პროფესიულ რინგზე

მექსიკის ქალაქ მონტერეიში გაიმართა ხუთი ორთაბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის გამოსავლენად სხვადასხვა წონაში.

კუბელმა ხულიო სესარ ჩავესმა (63,5 კგ) მეათე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი ტონი ლოპესი და შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვბა-ს ვერსიით.

ერთიმგ ხანმოკლე გამოდგა პირველ უმჩატეს წონაში მექსიკელ რიკარდო ლოპესისა და კოლუმბიელ იამილა კარაბალიოს შეხვედრა. მექსიკელმა პირველ რაუნდშივე ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე და შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული ვბა-ს ვერსიით.

ვბა-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა, აგრეთვე, საშუალო წონის არგენტინელმა მოკრივემ ხორხე კასტრომ. მან მეცხრე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა ამერიკელი ჯონ ჯექსონი.

ნოკაუტით დამთავრდა (მეშვიდე რაუნდში) პირველი ქვესაშუალო წონის მოკრივეების — ფრენკ რენდალისა და რონდი მურის (ორივე — აშშ) ბრძოლა ვბა-ს ვერსიით. გაიმარჯვა რენდალმა, რომელმაც შეინარჩუნა კიდეც წოდება.

ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა იბფ-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა ქვესაშუალო წონაში პუერტორიკოელმა ფელიქს ტრინიდადმა, რომელმაც მერვე რაუნდში ნოკაუტით აჯობა ობ კარს (აშშ).

ლოს-ანჯელესი. მსუბუქ წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა (ვბო-ს ვერსიით) ოსკარ დე ლა ჰოიამ (აშშ), რომელმაც მეცხრე რაუნდში მოუგო ჯონ ავილას (პუერტო-რიკო).

პეკინი. მას შემდეგ, რაც მომჯობინდა 32 წლის მსოფლიოს ექსჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი, რეალური გახდა მისი შეხვედრა მეორე ექსჩემპიონთან მაიკლ უივერთან. ეს ორთაბრძოლა გაიმართება პეკინში გაისად, 24 მარტს. მატჩის ორგანიზატორის დენ დუვას განცხადებით, კონტრაქტი ჯერ საბოლოოდ ხელმოწერილი არ არის.

ნიუ-იორკი. იუპის კორესპონდენტის ცნობით მოკრივეთა მსოფლიოს საბჭოს (ვბს) პრეზიდენტი ჰოსე სულეიმანი უსათუოდ გადადგება პოსტიდან, თუ არ შეიქმნა მსოფლიო კრივის ერთი ფედერაცია, რომელიც ერთ მსოფლიო ჩემპიონს გამოავლენს. დღესდღეობით არსებობს ოთხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლებიც თავიანთ მსოფლიო ჩემპიონატებს ატარებენ. ესენია: ვბს (მოკრივეთა მსოფლიო საბჭო), ვბა (მოკრივეთა მსოფლიოს ასოციაცია), იბფ (მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაცია) და ვბო (მოკრივეთა მსოფლიო ორგანიზაცია).

ფიზიკური ძალით.

და მაინც...

ხერხი სჯობია ღონესა...

როცა, 1974 წელს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მოჰამედ ალიმ (ყოფილმა კასიუს კლეიმ) ფორმენი მატჩში გამოიწვია, ბევრი თვლიდა, რომ 32 წლის ვეტერანს, ცხოვრებისაგან ნაგვემ-გაწამებულს, მოგების რაიმე შესაძლებლობა არ ჰქონდა. ნიძლავები — 5:2 ფორმენის სასარგებლოდ. მაგრამ ზოგი იმასაც არ ივიწყებდა, თუ ვინ იყო ახლო წარსულში ეს მოჰამედ ალი.

რაუნდი რაუნდს მისდევდა, ფორმენის დარტყმები ზოგისათვის თითქმის მომაკვდინებელი, მიზანს ვერ აღწევდა. ალი კი ფარვანასავით უვლიდა გარს ჩემპიონს და ქუჩებს აგროვებდა. თუმცა საბოლოოდ ამ შეხვედრის ბედი ქუჩებს არ გადაუწყვეტია. მერვე რაუნდში მოჰამედ ალიმ საბოლოოდ მოქანცა მეტოქე და საქმეც ნოკაუტით დამთავრდა.

ფიასკო 25 წლის ასაკში?! ასე იყო თუ რა თქმა უნდა, ბევრ მოკრივეს უთქვამს, რომ რინგს სამუდამოდ ტოვებს, უთქვამს და შემდეგ გადაუთქვამს. და მაინც 38 წლის ფორმენის გადაწყვეტილება, კრივს დაბრუნებოდა, მეტად მოულოდნელი იყო. მიაჩნდათ, რომ იგი რაიმე სერიოზულ სპორტულ ამოცანას ვერც კი დაისახავდა. ამას არც თვით ექს-ჩემპიონი აცხადებდა, უბრალოდ, ჟურნალისტებს უთხრა, რომ ცოტაოდენი ფულის შოვნა სურდა, რათა შემდეგ იგი ჰიუსტონის რელიგიური ცენტრისათვის მოეხმარა. სინამდვილეში კი აი რა მოხდა: ფორმენმა ერთი მატჩი მოიგო, მეორე და მალე მისი სახელი კვლავ გამოჩნდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ათეულში. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. თუ ასეთ ათეულში ხარ, უკვე შენი ქომაგების თუ მფარველების მოზერხებაზეა დამოკიდებული იმ თანხის დაფარვა, რაც მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრას სჭირდება. რაც შეეხება მორალურ მხარეს, ეს შენ უკვე გაქვს. აი, ის კი ძალზე ულამაზოდ ითვლება მსოფლიო ჩემპიონი ფულს გამოედევნოს და ისეთ მოკრივეს შეხვდეს, რომლის გვარიც პრეტენდენტთა ათეულში არ აღინიშნება.

1991 წელს ფორმენი მსოფლიო ჩემპიონობის მატჩზე შეხვდა ამ წოდების მფლობელ ევანდერ ჰოლიფილდს. 42 წლის პრეტენდენტი კი დამარცხდა, მაგრამ მეტად მძაფრი ბრძოლის შემდეგ, ქულებით. ასეთ ასაკში გაუძლო ყველა 12 რაუნდს. გაცილებით უფრო ახალგაზრდა ჰოლიფილდი, რომელიც მომდევნო წლებში დაკარგავს ჩემპიონობას, ისევ დაიბრუნებს და ისევ დაკარგავს, პირდაპირ გაოცებული დარჩა ვეტერანის ამტანობით. დამარცხება მიღწევად როგორ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ კრივის ექსპერტებმა ეს მატჩი მაინც ფორმენის დიდ მიღწევად მიიჩნიეს. მით უმეტეს, რომ მომდევნო წლებში ჯორჯი ასეთ დონეზე უკვე ვეღარ იბრძოდა. მართალია, იგი კვლავ აცხადებდა, რომ სურდა მსოფლიო ჩემპიონს შეხვედროდა, მაგრამ საკმაოდ უმნიშვნელო ძალის მეტოქეებთან ხან იგებდა (ალექს სტიუარტთან), ხან აგებდა (ტომ მორისონთან).

და აი, მსოფლიო ჩემპიონმა ორი ვერსიით („უორლდ ბოგსინგ ასოშეიშნისა“ და „ინტერნეიშნ ბოქსინგ ფედერეიშნის“ ვერსიებით) მაიკლ მურერმა ფორმენთან შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა, რატომ? ეტყობა, იოლ „გასეირნებად“ მიიჩნევდა და არც სოლიდური გასამრჯელო აწყენდა.

ადრე ნიძლავებზე ვილაპარაკეთ. ამჯერად იგი იყო 5:2 მურერის სასარგებლოდ, თუმცა ჰიუსტონელი პასტორი გაბრაზდა და თქვა: „თუნდაც ასით ერთზე დანიძლავდნენ, მურერს მაინც ნოკაუტით ვძლევ“.

მაინც, რისი იმედი ჰქონდა ფორმენს? აი ნაწყვეტი ერთი წერილიდან: „1968 წელს, როცა მურერი დაიბადა, დიდი ჯორჯი მეხიკოში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მურერი 5 წლისა იყო, როცა ფორმენმა მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამთავრა ბრძოლა ფრეზერთან და მსოფლიო ჩემპიონი გახდა პროფესიონალთა შორის. 1974 წელს, როცა დიდმა მოჰამედ ალიმ მერვე რაუნდში ნოკაუტით გაისტუმრა თვით ფორმენი, მურერი ექვსი წლისა იყო. ამდენად დიდი ჯორჯი მსოფლიო კრივის გუშინდელს კი არა, უფრო გუშინწინდელ ეპოქას მიეკუთვნება“.

და აი, ამ „გუშინწინდელი ეპოქის“ წარმომადგენელი, 45 წლის ფორმენი, 5 ნოემბერს კრივის მექაში, ლას-ვეგასში შეხვდა 26 წლის მაიკლ მურერს.

როგორ უნდა წარმართულიყო ბრძოლა? რა თქმა უნდა, ყველა ელოდა მურერის გამარჯვებას. პირდაპირ „დათვის ღონის“ პატრონ ფორმენს ხომ აშკარად აკლია სისწრაფე, როგორც ეს წინა მატჩებშიც გამოჩდა. მურერი მოქმედებდა მოჰამედ ალის კლასიკური რეცეპტით. მოჰქანცავდა მეტოქეს, მერე კი... აღვილი სათქმელია, საქმე კი სულ სხვანაირად წარიმართა.

რაუნდი რაუნდს მისდევდა. ფორმენის საქმე კი თითქოს ძალიან ცუდად იყო, ჩემპიონი ქულას ქულაზე იღებდა, ფორმენი ველარ სუნთქავდა, ცალი თვალით, მიღებული დარტყმების შედეგად, ველარც კი იხედებოდა. 9 რაუნდიდან ულაპარაკოდ წააგო რვა და მხოლოდ ერთში, მეოთხეში ჰქონდა უპირატესობა.

და მაინც მეათე რაუნდში „ძალამ“ აჯობა „ხერხს“. მურერი ოდნავ მოდუნდა. ამას მოჰყვა ფორმენის დაუყოვნებელი რეაქცია, ორი გასაოცარი ძალის დარტყმა და ჩემპიონი იატაკს გაეკრა. მსაჯმა დათვალა ათამდე, შეეძლო მეტიც დაეთვალა, სულ ერთია, მურერი მაინც ველარ წამოდგებოდა...

ამრიგად, თითქოს „ჩამოწერილმა“ ჯორჯ ფორმენმა 20 წლის წინათ (!) დაკარგული მსოფლიო ჩემპიონობა დაიბრუნა. მაიკლ მურერმა ცხელ გულზე განაცხადა, რომ სამუდამოდ ტოვებს კრივს. ჰიუსტონელი პასტორი არაფერს აცხადებს, შესაძლოა, ძალიან მალე ისევ გამოეთხოვოს რინგს, ცხადია, უკვე საბოლოოდ, მაგრამ ისტორიაში მაინც სამუდამოდ შევა, როგორც გაუგონარი გმირობის შემოქმედი.

ნოდარ საგანელიძე



მძიმე ავადმყოფობამ შეიწირა წარსულში ცნობილი მძლეოსნის, შესანიშნავი მოქალაქის ნოდარ საგანელიძის სიცოცხლე.

დაიბადა **1946** წელს თბილისში. სიმაღლეზე ხტომას ყმაწვილობიდან ეზიარა. ძირითადად გამოჩენილ მწვრთნელთან ზ. ჯარაშნელთან ოსტატდებოდა. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკებში. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი, შემდეგ კი არაერთხელ გამოუჩენია თავი მოზრდილებს შორის სხვადასხვა ასპარეზობაში. შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. როგორც მძლეოსნობის სპეციალისტები იტყვიან, იყო „კარგი ოსტატი“, სიმაღლეზე ხტომაში მაღალი შედეგების მიღწევა ხომ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ნ. საგანელიძეს მძლეოსნობის სამყაროსთან არასოდეს გაუწყვეტია ურთიერთობა, მუდამ მხარში ედგა როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის კოლეგებს.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი სპორტსმენი, სამაგალითო პიროვნება, გამორჩეული მეგობარი.

ნ. საგანელიძის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს მძლეოსნობის სამყაროს ფედერაცია.

პატივცემულო რედაქცია!

ორივე ამოცანა ზღაპრულ თემაზეა შედგენილი და მათში ნადის სურვილებია (მეგობრობა, ერთიანობა) ჩაქსოვილი...

სავსე თასით (ნადიშამათი სამ სვლაში) და 1 იანვარი (ნადიშამათი 2 სვლაში) სიმბოლურად გამოხატავენ საახალწლო მილოცვას.

პატივისცემით
რევაზ თავარიანი



ნადიშამათი 3 და 2 სვლაში
ორ-ორი ამოხსნით.

„ლელომ“ გამოსცა 1995 წლის პლაკატ-კალენდარი „პელე და ქართველი ფეხბურთელები“. შეკვეთა გავრცელებაზე მიიღება „ლელოს“ რედაქციაში.
ტელ.: 995-614.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჯეს ოუენსის პრიზი

რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა აშშ-ს საუკეთესო მძლეოსანს, მიიღო 400 მეტრზე მორბენალმა მაიკლ ჯონსონმა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1989 წლის შემდეგ მას არც ერთი შეჯიბრება არ წაუგია და ზედიზედ 26 გამარჯვება მოიხოვა. ამ გამოკითხვაში ჯონსონმა 2238 ქულა დააგროვა.

გამარჯვებულს 104 ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი შვიდჭიდში ჯეკი ჯოინერ-კერსი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნად დაასახელეს. მესამე შედეგი აღმოაჩნდა 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენს ლეროი ბარელს.

შეგახსენებთ, რომ წლეულს მეთოთხმეტედ გათამაშდა პრიზი.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს გივი ჯიშიაშვილს შვილის
დავითის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომელს ოთარ ნიორაძეს
მამის
გარდაცვალების გამო.